899.962.1 — 1617 —
ს-971
ცხადაძე ე.
გრიგოლ რობაქიძის დრამატურგია
— 1617 —

899.962.1
ს-971

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

ეკა გურამის ასული ცხადაძე

# გრიგოლ რობაქიძის დრამატურგია

10.01.01–ქართული ლიტერატურა
10.01.09–ფოლკლორი

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად

შემოსულია № 52
„14“ 04

თბილისი 1998

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი

*ხელნაწერის უფლებით*

ეკა გურამის ასული ცხადაძე

# გრიგოლ რობაქიძის დრამატურგია

10.01.01–ქართული ლიტერატურა
10.01.09–ფოლკლორი

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი 1998

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტში

სამეცნიერო ხელმძღვანელები:
დავით თევზაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ჯონდო ბარდაველიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

ექსპერტები:
1. აპოლონ ცანავა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
2. გივი ლომიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

ოფიციალური ოპონენტები:
1. რევაზ მიშველაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
2. გიზო ჭელიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
3. დავით კოტორაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

წამყვანი ორგანიზაცია:
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი

დისერტაციის დაცვა შედგება 1998 წლის 13 ... ივნ. ... 12 საათზე შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს (P 10.01. C №3) სხდომაზე.

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №5
დისერტაციის გაცნობა შეიძლება ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 1998 წლის ...10... [illegible]...

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი, ფილოლოგიის



# ნაშრომის საერთო დახასიათება

## თემის აქტუალობა

გრიგოლ რობაქიძის დრამატურგია არის განსაკუთრებული მოვლენა ქართული მწერლობის ისტორიაში. გრ. რობაქიძემ პირველმა შექმნა ექსპრესიონისტული დრამის ნიმუშები ქართულ სინამდვილეში და შემოიტანა სრულიად ახალი თემები და პრობლემები, სადაც ზომიერად განაზავა ეროვნული და ზოგადკაცობრიული.

გრიგოლ რობაქიძის დრამატურგია არის ერთგვარი გასაღები მწერლის მთელი შემოქმედებისათვის, აქ უკვე მთლიანად ჩამოყალიბებულია ის თემები, რომლებიც მას აინტერესებს და ამუშავებს მთელი ცხოვრების მანძილზე. ესენია: ქართული მსოფლმხედველობის –წარმართობისა და ქრისტიანობის სინთეზი; რასობრივი ტიპის ანუ ზოგადქართული ეროვნული ტიპის ჩამოქნა–ჩამოყალიბება; ქართული მითოსისა და ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში თანადროულისათვის ნიშნეულის აღმოჩენა.

1617

გრ.რობაქიძის ხუთი დრამიდან: „ლონდა“, „მალშტრემ“, „ლამარა“, „კარდუ“, „უდეგა“, რომელიმეს გამოყოფა გაჭირდება, რადგან ხუთივე მთლიანობაში გვაძლევს კვლევისათვის უმნიშვნელოვანეს მასალას. თვით ნაწყვეტებით შემორჩენილი „კარდუ“ იძლევა განსჯისათვის მრავალ პრობლემას. უპირველესად თვით სათაურის გაშიფვრა, მისი აზრობრივი დატვირთვა ისტორიული და მითიური პლანით წარმოგვიჩენს XX ს. დასაწყისს, ქართული ისტორიოგრაფიისა და ფილოსოფიური აზროვნების უმნიშვნელოვანეს კონცეფციებს (იგულისხმება ივ.ჯავახიშვილის მოსაზრება ქართველთა უძველესი საცხოვრისისა და სახელდების შესახებ და „ქართული ორგანოტროპიზმის“ წარმომადგენლის შ.კაპანელის ფილოსოფიური კონცეფციები).

ქართულ დრამატურგიაში გრ. რობაქიძემ პირველმა შემოიტანა მანამდე სრულიად უცნობი დიონისური საწყისები–მისტერიული აღქმა ცხოვრებისა და მოვლენებისა; გრ. რობაქიძემ დრამებშივე შეიმუშავა და უცვლელად დატოვა მერმინდელ მხატვრულ ტილოებში ორბუნებოვანი არსება გმირი